№ 68

ოთხშაბათი, 29 მარტი 1895

1877—1895

# ივერია

№ 68

ოთხშაბათი, 29 მარტი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

„ი ვ ე რ ი ა“

გამოვა 1895 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ისყიდება:**

სურათებიანი ვეფხის ტყაოსანი, გამოცემული გ. ქართველიშვილის მიერ 10 მანეთად.

საქართველოს ისტორია ვახუშტი ბატონიშვილისა, გამოცემული დ. ბაქრაძის რედაქციით გ. ქართველიშვილის მიერ 2 მან., ტფილისს გარეშე დამბარებელმა წიგნის ფასთან უნდა გასაგზავნის ხარჯის ფულიც გამოგზავნონ.

(10—6.—4)

**გამგეობა**

ტფილისის საურთიერთო სასოფლო მეურნეობის კრედიტის საზოგადოებისა ამით აცხადებს, რომ 25-ს ამა მდგომარე მარტიდამ მიიღებს არზებს მათგან, ვინც მოისურვებს კრედიტი იქონიოს ხსენებულ საკრედიტო დაწესებულებისაგან და წევრად ჩაეწეროს. წევრად შესაძლოა ჩაეწერონ და კრედიტი იქონიონ ყველამ, წოდებისა დ სქესის განურჩევლად, სოფლელს და ქალაქელსა. რა გვარად და რა სახით უნდა დაწერილ იქმნას არზა, ამისათვის საჭიროა მიჰმართონ თვით გამგეობას, რომელიც დროებით მოთავსებულია ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, და ყველა საჭირო ცნობას იქ მიიღებენ.

თხოვნები მსურველთ შემდეგის ფორმით უნდა დასწერონ.

ტფილისის საურთიერთო სასოფლო მეურნეობის კრედიტის საზოგადოების გამგეობის მიმართ

(წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი; რომელ მაზრიდგან.)

თხოვნა

უმორჩილესად გთხოვთ, მიშუამდგომლოთ, რათა მიღებულ ვიქმნე საზოგადოების წევრად. შემომაქვს რა (აღნიშნულ უნდა იქმნა ფულის რაოდენობა). ამასთანავე პატივი მაქვს გაუწყოთ შემდეგი ცნობები:

1) მაქვს უძრავი მამული (სად იმყოფება, რა მამულია, დაახლოვებით რამდენი ღირს, დაგირავებულია თუ არა და ან რა ფასში?)

2) ჩემი ხელობაა (მიწათ-მოქმედება თუ რაიმე ხელობა?)

3 ვაჭრობ 18—წლიდგან (რა საქონლით?) წელიწადში დაახლოვებით ა) (    ) მანეთის საქონელსა ვყიდულობ ბ) და ვყიდი (    ) მანეთისას.

4) ვასრულებ თანამდებობას. ცა

5) ვსარგებლობ კრედიტით (რომელ საკრედიტო დაწესებულებაში და ან რა ზომით)

ხელის მოწერა.

საცხოვრებელი ადგილი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერელნი ვამოწმებთ, რომ ამა თხოვნას ნამდვილად ხელს აწერს

ხელის მომწერლები:

**კაბინეტი კბილის ექიმთა**

**ვ. ი. ჭიჭინაძისა** და **ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## ახალი ამბავი

—

*** როგორც შევიტყეთ, აპრილის თვეში, რიცხვით 14 თუ 15 ს, ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის კომიტეტის თაოსნობით გამართული იქმნება კონცერტი დასახელებულის სასწავლებლის სასარგებლოდ. კონცერტში უმთავრესად ქართულს მოტივებს იმღერებენ. ამ კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ორკესტრი და ხორო ტფილისის მუსიკალურ სასწავლებლის დირექტორის კლენოვსკის მმართველობით. ბ. კლენოვსკისვე უკისრნია ამ კონცერტის მოწყობა და მომზადება.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა ორი დრამატიული დასი, ერთი რუსული დრამატიული ლიუდვიგოვის გამგეობით და მეორე მალოროსიული. პირველი ამათგანი წარმოდგენებს სახელმწიფო თეატრში გამართავს, ხოლო მეორე დასი—ბანკის თეატრში.

*** ჩვენი ცნობილი ქართულის წიგნების გამომცემელი ზ. ჭიჭინაძე, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში იწვა აქამდის, ამ დღეებში უკვე გამოვიდა საავადმყოფოდგან.

*** გაზეთ „ნოვ. ობოზრ.“-ს სიტყვით ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას გაუზრახავს იშუამდგომლოს უმთავრესის მთავრობის წინაშე რათა ბათუმის გარშემო მდებარე ჭაობები ამოაშრონ, რადგანაც ჰაერსა სწამლავს და ციებ-ცხელებას აჩენსო.

*** ქუთაისი: გუშინ-წინ აქაურს კათოლიკეთა ეკკლესიაში, წირვის გადახდის შემდეგ დაკრძალულ იქმნა ნაშთი ოდესაში გარდაცვალებულის კათოლიკეთა მღვდლის დიმიტრი თუმანიშვილისა. დაკრძალვას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

*** გურია: ჩვენში საშინლად მძვინვარებს ყვავილი, რასაც საკმაოდ სხვერპლი მიაქვს და ყურადღება-კი არსაიდგან სჩანს. უმეტეს ნაწილად შემდეგს სოფლებშია გავრცელებული: ვაკიჯვარში, ფამფალეთში, ნაგომარზედ, გურიანთაში და კახურში.

## კორესპონდენცია.

—

**ველის-ციხე**, (კახეთი). ამ რამდენისამე დღის წინად შემთხვევითა ვნახე ასე თხუთმეტი თონეთელი, რომელნიც იმისათვის ჩამოსულიყვნენ ქ. ტფილისში, რომ ენახათ მთავრობა, შეეჩივლათ თავისი გაჭირვებული მდგომარეობა, სოფლის ყოველგვარი ჭირ-ვაგლახი, რომ იქნება ჰშველებოდათ რაიმე, იქნება რაიმე სამკურნალო წამალი მოეპოებინათ.

— რაშია საქმე? დავეკითხე მე.

— რაშია და იმაში, რომ ოჯახი დაექცეთ ჩვენს მოხელეებს!—აი, თითქმის ყველას ყელები დაგვაჭრევინონ: გამოვიდა რამდენიმე ვაჟბატონი, ჩვენივე მეზობლები და აგვიტეხეს დავა, რომ თქვენს მამა-პაპას ჩვენის მამა-პაპის ვალი ჰმართებია და გაგვისწორდითო... კაცო, თუ ჰმართებიათ, სად იყავით აქამდის და ან რა საბუთი გიჭირავთ ხელშიო, შევეკითხეთ ჩვენ, მაგრამ იმათ კიდევ ისე გვითხრეს:—რა საბუთი უნდა გვეჭიროს, განა, ტყუილად ვამბობთო. ეს იყო იმათი საბუთი და მოხელეებმაც, რაც სახნავსათესი გვქონდა, სულ ჩამოგვართვეს და ჩვენს მიწებში დღეს სხვანი პარპაშობენ.

— მოხელეები რად მოიქცნენ აგრე უკანონოდ?

— იმისთვის, შენი ჭირიმე, რომ იმათი პატივისცემა ყელში ამოსდით, და ამისთვის ახლა ისინიც იმას ჭიჩიხიან, რომ ვალი უნდა მოიშოროთ, მაშ ხომ არ შეგარჩენენო.

ამ პატარა ლაპარაკის შემდეგ თონეთელები გაემგზავრნენ შესაჩივლელად, ვისთანაც ჯერ არს. რითი დაბოლოვდება—მაინცა-და-მაინც, ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ მოსალოდნელია, რომ მთავრობა ამ გარემოებას ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს და შესაძლებელიც არის, რომ არამც თუ საშუალებას აღმოუჩენს თონეთელებს, არამედ იქნება საყოველთაოდ მოახდინოს კიდეც რაიმე ცვლილება ჩვენის სოფლის მოხელეთა შესახებ, რომელთა მომეტებული ნაწილიც უვიცთაგან არის შემდგარი.

სოფლის ამგვარს მდგომარეობას, ჩვენის აზრით, ერთხელ და სამუდამოდ ეჭირვება შეცვლა. პირველი იმითი, რომ საჭიროა განუწესონ სოფელს რიგიანი, უანგარო და შეგნებული მოხელენი და მეორე იმითი, რომ ფრიად საჭიროა მიეცეთ მათ ისეთი სახელმძღვანელო, რომლითაც შეიგნონ რიგიანად მოქმედება. უამისოდ-კი ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია...

# ფელეტონი

—

**სამშობლოს ცაზედ.**

(ვუძღვნი გარდაცვალებულს მეგობარს ერმ. გაფრინდაშვილს).

რაღაცა გამოურკვეველმა ჰმუნვარებამ მომიცვა. გაუგებარი სევდა შემომაწვა გულზედ. ამაოდ ვცდილობდი თავი დამეხწივნა მისგან, გამოვრკვეულიყავ. ამაოდ ვეკითხებოდი ჩემს თავს მიზეზს ამ არა ჩვეულებრივის მდგომარეობისას. ამისთანა ბრძოლაში ვიყავ, რომ უცებ გულმა დაიფრთხიალა შემკრთალ კაკაბივით, ძლიერად გაქან-გამოქანდა და სწრაფლ გაინაბა, გაყუჩდა ისე, თითქოს აღარ აპირებს მოქმედებასაო. ჟრრრ... ელექტრონივით დამიარა მთელს ტანში და გადმოხეთქა ფიქრთა ბუდემ. მოდიან, მოისწრაფიან, ერთი მეორეს აღარ აცლის. პირველს მეორე უსწრებს, მეორეს მესამე ელობება წინ და ამგვარად ერთმანერთში გაბმულნი შეუწყვეტელ ძაფივით მიიზლაზნებიან. მივხვდი, მივხვდი მიზეზს ჰმუნვარებისას, მივხვდი და თვალნი ზეცას მივაპყარ, იქ ვეძებდი ერთობას ჩემს ფიქრებთან. აგერ ღრუბლებით წაგრაგნილი ცა, ალაგ-ალაგ ფერ-მკრთალი, აქა-იქ ვარსკვლავებს გაუბედავად ამოუყვიათ თავი. როგორ ცდილობენ გაუმკლავდნენ ზედ მოსეულს ღრუბლებს! ხან-და-ხან წამოიწევენ, დასჭიმავენ ძარღვებს და ღიმილით გადმოხედავენ ძირს ხეობაში ძილში გაყუჩებულს სოფელს. აგერ, ის ერთი იმათგანი რა მწუხარედ დასცქერის ქედ-გადამტვრეულს მთას, როგორ დაუშტერებია სევდიანი თვალები მის გულ-გამოკვეთილ ციცაბოსათვის, როგორა ჰსურს ჩაიხუტოს გულში მისი ბიბინა დაქანებული მკერდი ჩუხჩუხა წყაროებით მაყვალსა საფლავითურთ! მაგრამ... ოხ, უსამართლო ღრუბელო, ღრუბელო! მოასწარ სევდისაგან დასუსტებულს და შეჰხვიე შავს სუდარაში?

ჰაუ, ტიალავ, პატარაი აცადე ჭირისუფალს, სიყრმის შვილი გამოიტიროს! აბა, ახლა შეხჰედეთ იმ მეორე ვარსკვლავს, რა იმედით სავსე იყურება, რა ძალ-ღონე სჩანს იმის სიყვარულით სავსე მკვირცხლს თვალებში. რა სიბრალულით დასცქერის პალიესტონის ტბას, მისს ბუჩქნარიანს მიდამოს. მაგრამ რისთვის მიაჩერდა ასე იმ აგორაკებულს მიწას მწვანით გადახავერდებულს, ერთმანერთში გახლართულს ვარდის ტოტებით გადაკამარებულს. ეს „ქრისტინეს“ საფლავია. ოდესღაც უმანკო „ქრისტინესი“, უსამართლო სოფელმა გააბიწიერა იგი. მაგრამ რამდენადაც ის შელახულია, იმდენად წმინდაა, იმდენად სპეტაკია. აგერ ბულბული შემოჯდა ვარდზედ და სევდიანის ხმით დაჰკვნესის ცხოვრების მოწამე „ქრისტინეს“ საფლავს. ვეღარ გაუძლო, ცრემლიანი თვალები მოარიდა და ახლა მის გვერდზედ მეორე საფლავს მიაჩერდა. ოხ, ღმერთო ჩემო, რა საზიზღარია ეს საფლავი! სულ-შემხუთველი, მძოვრის სუნი ამოდის იქიდამ. მთლად გადათხრილია, გველის სოროებით დახვრეტილი, ბაყაყი მოსჯდომია თავით და საზარლად დაჰყიყინებს. ეს „დროიძეს“ საფლავია, სიცოცხლითვე სულით გახრწნილ „დროიძესი“. მას დასცქერის ვარსკვლავი მრისხანედ, თითქოს „ეუბნება“, გადავთხრი მაგ შენს საზიზღარს საფლავს და ქვეყანას დავანახვებ შენს სიმყრალესაო. მაგრამ,. ბუჰ... ჯოჯოხეთო, ეგეც შეგშურდა ბნელით მოცულის ქვეყანისათვის! ხე... ხე... ხე... მოისმა ყრუ ხმა ცის სივრცეში და უცებ შთაინთქა საბრალო ვარსკვლავი. რა გინდა რა, გულ-ქვავ, ჯოჯოხეთის ნაშობო, გაათრებულო სიკვდილო? თუ გგონია ისე მძლავრია სისხლით ნაბანი შენი ცელი, რომ ერთიან მოჰსრავ ქვეყანას? არა! აგერ უყურე, მეორე მხრიდამ როგორ ამოკვეთა ცა კიდევ ვარსკვლავმა! რა არის, მაგას მაინც დაეხსენ, არ გებრალება? მაგას სიცოცხლე უნდა, ჯერ პატარაა, ეხლახან მოვიდა ქვეყანაზედ. ნუ იქნები ეგრე გულ-ქვაც. მე მაინც შემიბრალე, მე მიყვარს ეგ ვარსკვლავი, ეგ ჩემი მეგობარია! აბა, უყურე როგორ ნელ-ნელა ჰმართავს ნორჩს ბრწყალებს, რა გონივრულად იყურება! ოხ, მოიცა, ნუ მომტაცებ სამუდამოდ საყვარელს მეგობარს, ნუ... მაგრამ, განა შენ გესმის ხვეწნა-მუდარა? ოხ, რომ შემეძლოს ჩაგიყარო გულში ჩემი ბრწყალები, რა სიამოვნებით დავფათრავდი ნაკუწ-ნაკუწ! დაწყევლილო, მაგას შევსტრფოდი ესოდენ ნაღველ შესმული და ეგეც შეგშურდა ჯოჯოხეთო?!. და მამგლოვიარე!

ჰე მეგობარო, შენს ნორჩსა გულში
წმიდა ზრახვათა დაესადგურათ
და შენს ჭაბუკსა ძალას და ღონეს
სწვრთნიდი მუობადში მათ სამსახურად,

—

მაგრამ გიმუხთლა უწყალო ბედმა,
მოსჭრა უკვილი ბასრმა დანამა
და შენნი წრფელნი გულისა თქმანი,
შიან დააფარა შავ სუდარამა!..

ი. ევდოშვილი.

ვაჩნია სოფლის გაუმჯობესება, მით უმეტეს, რომ აწინდელი სასოფლო მოხელეთა სახელმძღვანელო ვიწრო და გაუგებარს ფარგალშია მოქცეული.

რიგიანი და შესაფერი სახელმძღვანელო, დარწმუნებულნი ვართ, ბევრს სიკეთეს მოუტანს, როგორც მოხელეთ, ისე გლეხ-კაცობას და ამითი, თუ სრულიად არაა შესაძლებელი, რამდენადმე მაინც გაუმჯობესდეს სასოფლო მართლმსაჯულების საქმე.

არ შეგვიძლიან აქვე ისიც არ აღვნიშნოთ, რომ ამავე საგანზედ ამ რამდენიმე ხნის წინად სიღნაღის სამაზრო სამმართველოში აღიძრა ბაასი და ბ. ნ. გამრეკელმა, რომელიც მაშინ მდივანის თანამდებობას ასრულებდა, იკისრა სახელმძღვანელოს შედგენა; ყოველის კანონ-დებულების დავთრებიდგან ამოკრიბა ის მუხლები, რომელიც შეეხება სოფლის კეთილდღეობას. შეჰკრიბა ყველა ეს ერთ რვეულად, რომლის დაბეჭდვაც თითონვე განიზრახა რუსულსა და ქართულს ენაზედ. დღეს ეს რვეული ისევ ბ. გამრეკელსა აქვს ხელში დაუბეჭდველი და, ჩვენის აზრით, დიდსა და სამადლობელს საქმეს მოახდენდა, რომ დაებეჭდნა როგორმე ან თითონ, ან სხვისათვის გადაეცა, რომლის დაბეჭდვას და იაფფასად გასყიდვას ყველა დიდის სიამოვნებით იკისრებდა;

ნიკო ველისციხელი.

### პასუხად ბ-ნს სტუმართაგანს“.

„ივერიის“ მე-სამოც-და-ერთე ნომერში დაბეჭდილი იყო ვიღაც „სტუმართაგანის“ წერილი, რომელიც სწერდა, რომ ჩოჩხათში სცხოვრობს ორი მაჰმადიანი, რომლებსაც აქვთ რაღაც შინაურული ორმოც-და-ათ პროცენტიანი ბანკი, ჩაუგდიათ ხელში ყმები და ძალიან ავიწროებენ ხალხსაო. მაგრამ არ არის, ბატონო, სარწმუნო წერილი. იმ სტუმართაგანს პირადი უკმაყოფილება აქვს ჩვენთან, რომლის მიზეზს ქვემოდ მოგახსენებთ და იმიტომ ასე ლაპარაკობს.

ჩოჩხათის საზოგადოებაში, სუფსის სადგურზედ არის მრავალი ვაჭარი და მათ შორის ჩვენცა ვვაჭრობთ. ორმოც-და-ათი წელიწადია, რაც თითოეული ჩვენგანი გურიაში, ჩოჩხათის საზოგადოებაში, განუწყვეტლივ ვცხოვრობთ და ვვაჭრობთ თავად გურიელებისა და აზ. თავართქილაძეების მამულში, რომელთანაც გვაქვს საქმე აღებ-მიცემობაში, მაგრამ არავითარი ბოროტმოქმედება და ხალხის შევიწროება არ შეუმჩნევია ვისმეს ჩვენთვის ამ ხნის განმავლობაში, ან-კი რას შეამჩნევდა, რაც არ ჩაგვიდენია. ჩოჩხათის სოფელი და ჩოჩხათის მცხოვრებლები არც ასე მიყრუებული და უმეცარია, რომ ჩვენი მოქმედება დღემდის ვერ შეემჩნიათ. და დღეს ვიღაც სტუმართაგანი აცნობს ვენს თავს მასპინძლებს, მაგრამ ეს ვაჟბატონი არც სტუმრად სწამს ვისმეს ჩვენში და არც მასპინძლად. სოფელი ჩოჩხათი არის ერთი უდიდესი და უმდიდრესი სოფელთაგანი გურიაში ტყით, წყლით საბალახოთ და სახნავ-სათესით. გაშენებულია შავის ზღვის პირზედ, მიდის შუაზედ რკინის გზა და სხვა გზატკეცილები, სადაც მოდიან ხშირად ევროპიელი განათლებული ვაჭრები და იკავებენ საქმეს ვაჭრობაში ტყისა და სიმინდისას პირის-პირ თავად გურიელებთან და ხალხთან, რომლის გამო, რასაკვირველია, აქ მცხოვრებნი შრომისა და ჯაფის დაგვარად იძენენ ქონებას. სირცხვილიც-კი იქმნება, რომ ამისთანა მდიდარს ადგილზედ მყოფი კაცი ღატაკი იყოს და ღარიბი. ამისთვის ჩვენ რად უნდა ვიყოთ ღარიბი. ჩენი სიმდიდრე ეს არის, რომ თითო ხის დუქანი გვაქვს წვრილმან სავაჭროით ისე როგორც სხვებს, მჭადი გვაქვს და წყალი, თითო ორ-ოლი ძროხა, შალის ტანისამოსი, რომელსაც ვყიდულობთ ძლიერ იაფად ტრაპიზონში და ფეხზედ წუღები გვაცვია; შეშა ბევრია აქ, ღვინო არ გვინდა და რომი-კი მოგეხსენებათ, ტირილში არ დავიარებით და ქორწილში, რომ წასაბურავ-მისალოცავმა დაგვაქციოს, ცოლ-შვილთან დაშორებულნი ვართ. საზღვარ გარეთ გვყავს; აქ ვერ ვიყოლიებთ (ასეა ჩვენი ადათი), მღვდელი არ გვაწუხებს და ბერი. ჩვენ ამას ვუძახით სიმდიდრეს და ღმერთმა ნუ მოგვაკლოს ამისთანა სიმდიდრე. ცოდვაც არის, რომ ორმოც-და-ათის წლის განმავლობაში მშრომელმა ვაჭარმა კაცმა ამ მდგომარეობაში ვერაფერი შეიძინოს. ჩვენი მოქმედება თვალ-წინ აქვს ყოველ დღე ადგილობრივს მთავრობას და საზოგადოებას. ჩვენსკენ საიდუმლო და დაფარული მოქმედება არაფერი არ არის ეხლა. ჩვენ ცოტა მისაცემიც გვაქვს და ასაღებიც. სამასი ლისტისა რა მოგახსენო და ერთი ლისტით-კი მოგვისაჯა ამას წინად მოსამართლემ ერთი თუმანი იმ ვაჟბატონ სტუმართაგან, რომელიც განაჩენს შემდეგ დაგვექადნა, გაზეთებში გაგლანძღავთო. მაგრამ, კი იციან სუფსის სადგურზედ ჩვენგანს ვის სთვლიან გალანძღულად და გალახულად, ან ვინ გალახეს ამას წინად ცუდის ენისთვის, ბოდიშს ვითხოვთ მკითხველებთან, რომ თავი მოვაბეზრეთ.

მაჰმადიანები კერეჯ-ოღლები.

### ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და იმისი დანიშნულება.

I

„წერა-კითხვისა და თავდაპირველის სწავლის გავრცელება ქართველებში, სადაც-კი კავკასიაში ისინი მოსახლობენ*, — აი უმთავრესი დანიშნულება ამ საზოგადოებისა. ამასვე ავალებს მას თვით წესდება (§ 1).

ფრიად დიდ-მნიშვნელოვანი საქმე უტვირთია ჩვენს ინტელიგენციას, (შეგნებულს ნაწილს საზოგადოებისას) როცა ამგვარი ვრცელის ასპარეზის საზოგადოება დაუარსებია მას ჩვენში. ხოლო, დღეს თუ ვერ არის ეს საზოგადოება თავისს სიმაღლეზედ, ეს, ჩვენის აზრით, თვით საქმის სიდიადეს და სირთულეს უნდა მიეწეროს, რომელთ დაძლევა შესაფერს დროს და ძალის მოკრებას თხოულობდა!.. ეს დრო დღეს, ვგონებ, უკვე დადგა და, ამიტომ ცუდი არ იქნება, რამდენიმე სიტყვით გავახსენოთ ქართველობას მოხსენებულის საზოგადოების დანიშნულება...

დიაღ, დიდი და ჭეშმარიტად ღვთიური ვალი უტვირთია ჩვენს ინტელიგენციას! მთელის საქართველოს წინაშე, როდესაც ასეთის დიადის მიზნისა და ასპარეზის ორგანო დაუფუძნებია და დღევანდლამდე მოუყვანია! წერა-კითხვის გავრცელება ქართველებში ერთად-ერთი საშუალებაა, რომ ერთხელ და სამუდამოდ გატყდეს უმეცრების კედელი და ამიტომ, ისე როდი უნდა ვუყურებდეთ ამ საგანს, როგორც გერს. თუ დღეს, ჩვენის ქვეყნის ზოგიერთა მამულიშვილთა აზრით, დროა მოისპოს უკიდურესი ნივთიერი უთანასწორობა ჩვენის ხალხის წოდებათა და კერძო პირთა შორის, ათასჯერ უფრო დროც და საჭიროც არის, რომ ძირიანად აღმოვფხვრათ გონებითი, სულიერი უთანასწორობა! ხოლო ვინ უნდა იტვირთოს ეს დიადი საქმე ჩვენში, თუ არა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ?!.

აი, მიზანი, რომელსაც მტლად უნდა დაედვას მოხსენებული საზოგადოება და ერთობ ყველა შეგნებული ქართველი!..

ამ ბოლო დროს, ერთს მეტად არასასურველს მიმართულებას ვხედავ მე ჩვენის ხალხის საზოგადო და კერძო ცხოვრებაში: ყველა გატაცებულია ეკონომიურის კითხვებით, ეკონომიურის ძალის მოხვეჭით, ნივთიერ შეძლების მოპოვებით, ხალხის ნივთიერ მოთხოვნილებათა გაუმჯობესების და დაკმაყოფილებით... ამას და სხვას არაფერს უნდა მიეწეროს ის მოვლენა, რომ ჩვენში სოკოსაებრ სწრაფად მრავლდება სხვა-და-სხვა საზოგადოება, რომელთ მიზანი, მოხსენებული „ეკონომია“, ვითარცა — ტფილისის სამეურნეო საურთიერთო საკრედიტო საზოგადოება, სხვა-და-სხვა „შუამავლების“ დაფუძნება, დეპო-ბანკების დაფუძნება და უფრო, საკვირველი რა არის, თვით წიგნების გამომცემელი საზოგადოებანიც უმთავრესად ამ მიზანს მისდევენ; ასე რომ მთელი ჩვენი უკეთეს მწერლების ნაწარმოებნი სულ ხელში ჩაიგდეს და რომ სულით-გულით გინდოდეს იაფ-ფასად გამოსცე სახალხოდ რომელიმე მწერლის, თუნდა სულ პატარა, თხზულება, არა და არ შეგიძლიან... მონოპოლია მწერლობაში აი, რის შემოღებას და დამკვიდრებას მიისწრაფიან ეს საზოგადოებანიც-კი!.. დიაღ, ნივთიერი და არა სულიერი ძალის მოკრება, აი დევიზი დღევანდელ ჩვენი კერძო და საზოგადო ცხოვრებისა! ესეთი ერთმხრივი მიმართულება მე დიდად შემცდარ მიმართულებად მიმაჩნია და დროა ხმა ავამაღლოთ, რომ ჩვენი საზოგადოება თავისს დროზედ გონს მოვიდეს და თუ ოდესმე ძველი და ახალი ქვეყანა სულ იმას გაიძახოდნენ, რომ საღს სხეულში — საღი სულიო, ჩვენ პირიქით უნდა ვიძახოთ: „ხოლო საღსა და ძლიერს სულში შესაძლოა ძლიერი და საღი სხეული!!... ჩვენ ცოტა არ იყოს გადვუხვიეთ საგანს და ამიტომ დავუბრუნდეთ მას.

დიაღ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ღვთიური ვალია საყოველთაო კუთვნილებად გახადოს წერა-კითხვა და საზოგადოდ პირველ-დაწყებითი სწავლა! მისი ვალია სულ უკანასკნელის და უშორესის, მივარდნილის ქართველის ოჯახშიაც შეიტანოს ქართული წიგნი, ქართველ ერის უკეთეს შვილების სული, დაატრიალოს ყველა მათგანის სახლში!.. წერა-კითხვა საზოგადოდ წიგნი უმთავრესი იარაღია ადამიანის განვითარებისა. იგი იბევრებს მის ცოდნას, ზრდის ტვინსა, ანუ როგორც ჩვენში იტყვიან, ჭკუასა, ამდიდრებს მისს გამოცდილებას და თვით მას ჰქმნის გონიერ მომქმედად ოჯახში და საზოგადოებაში... წიგნის ცოდნა იმავე დროს ეკონომიური ძალაა, რადგანაც იგი აუკეთესებს მდგომარეობას კაცისას (მუშისას), ამაღლებს მისს კეთილდღეობას, ადიდებს მისს წარმოებას, ხსნის მასში მოთხოვნილებას შრომის გაუმჯობესებისას, ანთავისუფლებს ცრუმორწმუნოებისგან, ასწავლის ბუნებისა და მიწის სიმდიდრის უკეთ-მოხმარებასა და უზოგავს მუშაობის ძალას, რადგანაც უმსუბუქებს და უმარტივებს შრომასა, აძლევს იმ სულიერს ძალას, რომლითაც ხდება იგი მფლობელად და მპყრობელად ბუნებისა და ცხოვრებისა... ერთი სიტყვით, რომ ხალხი განათლებული გახდეს, მისთვის უთუოდ საჭიროა ცოდნა წიგნისა, საჭიროა ცოდნა წერა-კითხვისა! ასეთი აუცილებელი საჭიროება და ძალაა ეს საგანი ხალხის ცხოვრებაში და ჩვენ-კი ღვთის ანაბრობაზედ მიგვიგდია იგი!.. არასოდეს არ დამავიწყდება ერთი შემთხვევა. ჩემს თელავში ყოფნის დროს მე დავაარსე, სხვათა შორის, პირველ-დაწყებითი საქალებო სასწავლებელი; ათ შაურად თვეში. სკოლა იქამდე საჭირო მოთხოვნილებად აღმოჩნდა იქ მცხოვრებ ქართველ და სომეხთათვის, (თუმცა ჩემს სკოლაში უმეტესად ქართულს ენაზედ სწარმოებდა სწავლა, სომხები, მაინც არ გვერიდებოდნენ და ბლომად გვაბარებდნენ თავიანთს ქალებს; ეს მით უფრო საკვირველი იყო, რომ თელავში სომხებს ჰქონდა და დღესაც აქვთ საკუთარი საქალებო სასწავლებელი) რომ მალე მოსწავლეთა რიცხვმა ასს გადააჭარბა და დიდი პატივიც დაიმსახურა თელავის საზოგადოებაში. შემდეგში, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, მე აღარ შემეძლო უკვე მკვიდრს ნიადაგზედ დაყენებულის სკოლის გაძღოლა და ვსთხოვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას, მიეღოთ იგი სკოლა თვისს სრულს გამგებლობაში, მაგრამ საზოგადოებამ უარი განაცხადა, საზოგადოებმა ვერ მოახერხა, ვერ ითავა, რომ მზად მოწყობილი საქმე არ მოსპობილიყო... ეს არა-თუ ღვთის ანაბრობაზედ მიგდებაა, არამედ მეტიცაა...).

რომ დავთვალოთ რიცხვი წერა-კითხვის შემსწავლელთა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების მეოხებით მომხდარი, გამოვა, სულ ბევრი რომ ვსთქვათ, რამოდენიმე ასი ყოველ-წლივ. მაგრამ დამეთანხმებით, რომ ეს წვეთია ზღვაში! საჭიროა იმ სიმაღლემდე ავიყვანოთ საზოგადოების მოქმედება ამ მხრივ, რომ ქართულის წერა-კითხვის შემსწავლელთა რიცხვს ვსთვლიდეთ ჩვენ ყოველ წლივ ათასობით და ათი-ათასობით... როგორ უნდა მოხერხდეს ეს, აი, საგანი დღევანდელის წერილისა. მაგრამ, ვიდრე ამ საგანზედ გადავიდოდეთ, საჭიროდ ვრაცხ, მოკლედ მაინც დავასურათოთ მისი მზგავსივე ქველ-მოქმედება უცხო ქვეყნებში და ამიტომ ჯერ ამაზედ ვსთხოვ მკითხველს თვისს ყურადღებას.

ი. როსტომაშვილი.

(შემდეგი იქნება.)

### ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების წესდების პროექტი*)

I აზრი.

1. საზოგადოებას აზრადა აქვს ქონებრივი დახმარება აღმოუჩინოს გაჭირვებულ ქართველთ წლოვანებისა, სქესისა და წოდების განურჩევლად; დახმარებას შეადგენს დროებითი და დრო-გამოშვებითი ხელის გამართვა.

2. ამ აზრის განსახორციელებლად საზოგადოება:

ა) ქონებრივს დახმარებას აღმოუჩენს სწავლის დროს გაჭირვებულთ მოსწავლეთ.

ბ) ეხმარება სხვა-და-სხვა უბედურებაში ჩაცვივნულთ, მაგ. შიმშილისა, გადამდებ ავადმყოფობისა, საქონლის ჭირისა, ცეცხლისა, წყალდიდობის დროსა და სხვანი.

შენიშვნა. რომ საზოგადოება არ დაეცეს ქონებრივად, ისინი, ვინც მისგან დახმარება მიიღო, მოვალენი არიან, როგორც-კი შეიძლებენ, მათ მიერ მიღებული ფული უკანვე დაუბრუნონ საზოგადოებას, ან ერთბაშად, ან არა და წვრილ-წვრილად შეტანით. ისინი, ვინც საწევრო გარდასახადს შეავსებს, უკენჭოდ ამოირჩევიან ზემოხსენებულ საზოგადოების წევრად (§ 9, 10, 17 პ. 4).

გ) საჭიროების დროს კანონით ნება-დართულ საზოგადოებათაც ეხმარება საზოგადო კრების გარდაწყვეტილების თანახმად (§ 17 პ. 7).

3. თვისის აზრის განსახორციელებლად საზოგადოება, როდესაც თანხას შეიძენს და საჭიროება მოითხოვს, ჰხსნის იაფასიანს სასადილოებს, აარსებს ერთად საცხოვრებელს სახლებს, თავსაფარებს, საავადმყოფოებს და სხ; ადგენს სასანიტარო დასებს, ჰგზავნის თვისს დავალებულს კაცებს ან აგენტებს და სხვანი (§ 22).

II თანხა.

4 საზოგადოების თანხას შეადგენს;

ა) წლიური საწევრო შესატანი;

ბ) დროებითი შეწირულებანი ფულად, ნივთებით და ყოველგვარი მოძრავი და უძრავი ქონება;

გ) ფული, რომელიც საზოგადოებას შემოუვა კრუჟოკის გარდასახადისაგან, სხვა-და-სხვა დროს გამართულ კანონით ნება-დართულ კონცერტებისა, წარმოდგენებისა, სახალხო კითხვისა და ლატრეა-ალეგრებიდგან;

დ) ფული, რომელსაც შეწირულ ნივთებისა და სხვა საკუთარ ქონების გასყიდვისაგან აიღებს საზოგადოება

და ე) % % საზოგადოების კაპიტალისა.

5. საზოგადოების თანხა თავისის დანიშნულებით სამ ნაწილად განიყოფება:

ა) სათადარიგო თანხა სხვა-და-სხვა უსაჭიროეს, განსაკუთრებითს შემთხვევათათვის დანიშნული (§§ 17 პ. 7,21);

ბ) თანხა, რომელიც საზგადოების მიმდინარე საჭიროებათ უნდა ემსახუროს

და გ) სპეციალური თანხა, რომელიც შემომწირველთაგანვეა დანიშნული რომელიმე საჭიროებისათვის თანხმად საზოგადოების აზრისა.

6. საზოგადოების თანხა ასე განაწილდება: ყველა ფულიდგან, რაც-კი საზოგადოებას გადაეცემა, 10% ამ ფუ-

*) იბეჭდება შემოკლებით.

ლისა სათადარიგო კაპიტალს ემატება, ხოლო დანარჩენი, დანიშნულებისამებრ, მიმდინარე საჭიროებათა თანხას ემატება.

შენიშვნა. სათადარიგო კაპიტალიდგან ფულის რაიმე საჭიროებისათვის აღება მხოლოდ საზოგადო კრების გარდაწყვეტილებით შეიძლება (§ 17 პ. 6). პირველ შეძლებისამებრ უნდა შეივსოს მერე სათადარიგო კაპიტალი.

III ვინ შეადგენს საზოგადოებას, უფლება და მოვალეობა წევრთა.

8. საზოგადოების წევრობა შეუძლიან ყველა სრულ წლოვანს სქესისა, წოდებისა და შეძლების გაურჩევლად.

საზოგადოების წევრნი განიყოფებიან საპატიო, ნამდვილ, ქველმოქმედ და სამუდამო წევრებად.

წევრთა რიცხვი განსაზღვრული არ არის.

9. ისინი, რომელთაც საზოგადოებას რაიმე განკერძოებითი სამსახური გაუწიეს, ან ისეთს სიმაღლეზედ სდგანან, რომ შეუძლიანთ დიდი სარგებლობა მოუტანონ საზოგადოებას, აგრეთვე ისინი, ვინც არა ნაკლებ 500 მან. შესწირა სიზოგადოებას, აირჩევიან საპატიო წევრებად.

10. ვინც საზოგადოების კასაში წლიურად არა ნაკლებ 3 მან. შეიტანს, ის საზოგადოების ნამდვილ წევრად ითვლება; ხოლო ვინც ერთბაშად 50 მან. შეიტანს, ის ითვლება სამუდამო ნამდვილ წევრად. ისინი, ვისაც წლიურად შეაქვს არა ნაკლებ 10 მან., ქველ-მოქმედ წევრად იწოდებიან, ხოლო ვინც ერთბაშად შეიტანს 150 მან., ის ჩაითვლება სამუდამო ქველ-მოქმედ წევრად.

11. საზოგადოების წევრი შესვლისათანავე იხდის შესატანს საწევროს, რომლისთვისაც ეძლევა მას საწევრო ბარათი, ხელ-მოწერილი და საზოგადოების ბეჭდით შემოწმებული.

12. თუ წევრმა შესატანი საწევრო ვერ შეიტანა მთელის წლის განმავლობაში, მაშინ ის გამორიცხულად ჩაითვლება და ხელმეორედ წევრად მიიღება იმ წესით, რომელიც არის ნაჩვენები (§ 17 პ. 4).

13. საზოგადოების ყველა წევრთ კანურჩევლად სახელწოდებისა ეძლევათ უფლება ერთის ხმისა საზოგადო კრებებზედ და ყველას ერთნაირად აქვს უფლება იქმნას ამორჩეული საზოგადოების ყველა თანამდებობაზედ.

IV. საზოგადოების საქმეების მმართვა.

14. საზოგადოების საქმეებს განაგებენ:

ა) საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებები

და ბ) საზოგადოების მმართველობა.

ა. საზოგადო კრებები.

17. საზოგადო კრებების საგანს შეადგენენ:

1) განხილვა და დამტკიცება ანგარიშებისა და საზოგადოების თანხის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.

2) სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვა და დამტკიცება;

3) მმართველობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატთა არჩევანები;

4) საზოგადოების ყველა სახელწოდების წევრთა არჩევანები (§ 2 პ. 6. შენიშვნა);

5) მოლაპარაკება უძრავ ქონებათა შეძენისა და გასყიდვის შესახებ და აგრეთვე საზოგადოების წევრთა მხრივ შეტანილ საჩივრის შესახებ საზოგადოების თანამდებობათა აღმასრულებლებზედ;

6) გაღება ხარჯთ-აღრიცხვაში მოხსენებულის გარდა სხვა ფულისა (§ 6, შენიშვნა);

7) საზოგადო კრებებს შეუძლიანთ გარდასწყვიტონ, მიეცეს თუ არა ფული გაჭირვებულ საზოგადოებათ და აგრეთვე განსაკუთრებულ საჭიროებათა გამოანგარიშება (§ 2 პ. ს. 5 პ. ა. 21)

და 8) განხილვა პროექტებისა საზოგადოების წესდების შეცვლისა ან შევსების შესახებ (§ 21 და 42).

ბ. მმართველობა.

22. საზოგადოების მმართველობა ტფილისში იმყოფება; ხოლო კავკასიისა და ამიერ-კავკასიის მხარეში სხვა-და-სხვა ქალაქებში ჰყავს თავისი დავალებული კაცები საზოგადოების საქმის უკეთესად წარმოებისათვის (§ 3).

26 მმართველობის მოვალეობას შეადგენს:

1) მისცეს წევრებს საწევრო ბარათები, მიიღოს დროებითი და წლიური შესატანი და აგრეთვე ფონდების სპეციალური თანხა.

2) განაგებს საზოგადოების ქონებას და აგრეთვე საზოგადოების სალაროს და მიმდინარე საქმეებს;

3) მიიღებს თხოვნებს დახმარების შესახებ და ჰკრებს ცნობებს მთხოვნელ კერძო პირთა და საზოგადოებათა ნამდვილ გაჭირვების შესახებ;

4) ეხმარება წესდების მიხედვით;

5) ადგენს ყოველთვიურსა და ყოველ-წლიურს ანგარიშს, აგრეთვე მომავალ ხარჯთ-აღრიცხვას და წარუდგენს, გარდა ყოველ თვიურის ანგარიშისა, საზოგადო კრებას განსახილველად

და 6) მოიწვევს ყოველ-წლიურსა და საგანგებო საზოგადო კრებებს და ამ კრებებზედ განსახილველ საგნების სიას ადგენს.

38. საზოგადოების საქმეთა, აგრეთვე ფულისა, ქონებისა და წლიურ ანგარიშთა გადასასინჯად კრება ყოველ-წლიურად ჰნიშნავს სარევიზიო კომისიას სამის წევრისაგან, რომლებიც მერე თავიანთში ირჩევენ თავმჯდომარეს; კომისია რევიზიის შესახებ მოხსენებას საზოგადო კრებას წარუდგენს სხდომის პირველს დღეს.

1) ლ. მგელაძე.
2) გ. დიასამიძე.
3) ა. მიქაბერიძე.
4) ვ. თარხნიშვილი.

## რუსეთის ცხოვრება.

სასჯულო საქმეთა სამინისტრომ რამდენიმე სამოსამართლო პალატის რევიზია დანიშნა და ამ რევიზიასთან ერთად ცვლილების შემოსაღებათაც იმუშავებენ. ვილნაში და ოდესაში რევიზორად დაინიშნა კონსულტაციის წევრი კრასოვსკი, ხარკოვში — მეშჩანინოვი, ხოლო ტფილისის სამოსამართლო პალატისა და ოლქის სასამართლოს სარევიზიოდ, უმაღლესის ნება-რთვით იგზავნება სენატორი ა. ფ. კონი. მის თანაშემწედ დანიშნულია პეტერბურგის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ბ-ნი იგნატიევი.

—

„რუსკი ინვალიდ“-ში სამხედრო მინისტრის შემდეგი ბრძანებაა დაბეჭდილი: პასპორტების წესდების მე-13 მუხ. ძალით 1893 წლ. ებრაელთ აღკრძალული აქვთ ცხოვრება დონისა, ყუბანისა და თერგის ოლქებში. ამისათვის დასახელებულს ადგილებში ებრაელთ მხოლოდ დროებით ცხოვრება შეუძლიანთ და აღნიშნულს ვადას ვერ გადააცილებენ. მაგრამ ამ წესდების მუხლებში არა არის-რა ნათქვამი იმის შესახებ, აქვთ თუ არა ებრაელთ უფლება ავადმყოფობის გამო საექიმოდ თავისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილიდგან იმპერიის სხვა ადგილებში გადავიდნენ. აწ მოქმედ კანონ-მდებლობის ძალით ებრაელთა შესახებ, ამ უკანასკნელთ სამკურნალო წყლებითა და კლინიკებში წამლობისათვის მხოლოდ კიევში შეუძლიანთ მისვლა. მაგრამ კავკასიის მთავრობის მოხსენებიდგან სჩანს, რომ ებრაელნი აქაურ სამკურნალო წყლებით მაინც სარგებლობენ. იმის გამო, რომ კავკასიის წყლების გარდა თერგის ოლქის სხვა-და-სხვა ადგილებშიაც არის სამკურნალო წყლები, რომ ასეთივე წყლებია ყუბანისა და დონის ოლქში, სხვა-და-სხვა ეჭვის თავიდგან ასაცილებლად დასახელებულ ადგილებში ებრაელთა გადასვლის უფლების შესახებ საჭიროდ ვცნობ ვაცნობო კავკასიისა და დონისყაზახთა მეუფროსეთ, რომ კანონის ძალით ებრაელთ აღკრძალული აქვთ საზოგადოდ დონისა, ყუბანისა და თერგის ოლქებში მისვლა სამკურნალო წყლებით წამლობისა და საზოგადოდ სხვა-და-სხვა სნეულებისაგან განსაკურნებლად.

—

როგორც რუსული ჟურნალ-გაზეთობა იუწყება, განზრახულ საყოველთა მცხოვრებთა აღწერისათვის რომელიც ერთს დღეს უნდა მოხდეს, მთავრობას გარდაუწყვეტია გადაიდოს 3,800 ათასი მანეთი.

—

ხარკოვის საურთიერთო ნოქართა დამხმარებელ საზოგადოებას გარდაუწყვეტია ხარკოვში სამოსწავლო-სავაჭრო სკოლა დააარსოს; მთავრობასთან შუამდგომლობისა და სკოლის წესდების შესამუშავებლად უკვე ამორჩეულია კომისია. სკოლის შენობისა და პირველად მოწყობისათვის გარდაწყვეტილია გადაიდოს ერთ ხანად 3,000 მ., ხოლო შემდეგ წლიურად 2,000 მ. ამ კრებაზედ წარდგენილმა ხელის მოწერამ მომავალ სკოლის სასარგებლოდ შეჰკრიბა 2,000 მან.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ფინლანდიაში, ქალაქ ფრიდრიჰსგამში არსებობს კადეტთა კორპუსი. ფინნთა და შვედთა შორის დიდი კამათია იმის შესახებ, თუ რომელს ენას მიეცეს უპირატესობა კორპუსში სასწავლებლად. ეჭვი არ არის, რომ ფინნები და შვედები მორიგდებიან და ფინნურისა და შვედურის ენის შესწავლის საქმეს იმრიგად მოაწყობენ, რომ არც ერთი არ დაიჩაგროს. ამ შინაურს ბრძოლაში ჩაერია ახლა „მოსკოვსკ. ვედომ.“-ი და ამნაირად სწყვეტს საქმეს:

„უმჯობესი იქნება სრულიად დაიხუროს ფრიდრიჰსგამის კორპუსი და ის ფული, რაც ესარჯება დღეს ფინლანდიის ხაზინას კორპუსის შენახვაში, გარდაეცეს რუსეთის კორპუსებს, სადაც ამ ფულიდგან ფინლანდიელთათვის სტიპენდიები დაარსდება და უფრო მეტ ყმაწვილების აღზრდაც შეიძლებაო.

ფინლანდიელნი ჰზრუნავენ, არც შვედური და არც ფინნური ენა არ დაიჩაგროსო; მოსკოველი გაზეთი ამისთვის ურჩევს, კორპუსი დახურეთ და რუსულს კორპუსში ისწავლეთო. საუცხოვო ლოღიკაა, სწორედ!

## პროფ. ვაგნერი ზნეობის შესახებ.

პროფესორს ვაგნერს 20 ს მარტს წაუკითხავს პეტერბურგში საჯარო ლექცია ზნეობის შესახებ. გაზ. „ნოვოე ვრემია“-ს მოჰყავს ამ ლექციიდგან ის ადგილი, სადაც ლექტორი „სინიდისს“ შეეხება. „რა არის სინიდისი“? კითხულობს პროფესორი და ამნაირად განმარტავს ამ საგანს.

ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ სინიდისი დაბადებიდგანვე აქვს კაცს ჩანერგული, ხოლო ზოგიერთების აზრით სინიდისის ჩანერგვა შეიძლება აღზრდა-განათლებით. სინიდისზედ ბევრი სხვა-და-სხვა შეხედულება არსებობს. ვნახოთ, მაგალითად, როგორი აზრის სხვა-და-სხვაობა არსებობს ქველ-მოქმედების შესახებ. ერთნი ქველ-მოქმედებას უარ-ჰყოფენ და მხოლოდ თავისთვის ჰზრუნავენ; ეს ანორმალური მოვლენა არის. მეორენი ქველ-მოქმედებენ შეწირულებით და მოწყალების გაცემით; ეს მხოლოდ ფორმალიზმია, ამ შეხედულების კაცი იმიტომ ქველ-მოქმედებს, რომ ასეა მიღებული, ამგვარი ჩვეულება არსებობს. მესამენი ბევრს კეთილს საქმეს სჩადიან უბედურთა სასარგებლოდ, მაგრამ ესენი თავისს თავ-მოყვარეობას და გულ-ჩვილობას აკმაყოფილებენ და მას არ არჩევენ — ზნეობრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ეს თუ არა. სამართლიანს სახელმწიფოში მოწყალებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მათხოვრობა, პროფესორის აზრით, სჩვევია მხოლოდ მას, ვისაც მუშაობა არ უყვარსო. მათხოვრის ზნეობითი მხარე ყოველთვის სუსტიაო. მაღალ-ზნეობის კაცი, სანამ მოწყალების თხოვნას გაჰბედავს, თავის მოკვლას განიზრახავს. ყველამ უნდა იმუშავოს. მუშაობა მსოფლიო კანონია ყველა ცხოველისათვის, ამიტომ მოწყალების გაცემა არ არის სინიდისის საქმე. ბევრი კანონ-პროექტები შემუშავებულა იმის შესახებ თუ, როგორ უნდა მოისპოს მათხოვრობა. მაგრამ კანონ-მდებლობა საქმეს ვერ უშველის. არის უფრო კარგი საშუალება — ხასიათის და საზოგადოდ კაცის ბუნების აღზრდა. ბევრი უსამართლობა მოისპობოდა, რომ ყველას საზოგადო საქმე თავისს საქმეთაც მიაჩნდეს. საზოგადოებაში ბრძოლა არსებობს ეგოიზმისა და ალტრუიზმის შუა, თვით-მოყვარეობისა და თავგანწირულების შუა. ოდესმე ალტრუიზმი სძლევს ეგოიზმს. ამისთვის საჭიროა ზნეობრივი აღზრდა ადამიანისა. რა არის ზნეობა? ამაზედ სხვა-და-სხვა პასუხს იძლევიან: სახარება დოგმატიურს პასუხს იძლევა, საზოგადოებრივი შეხედულება ამბობს, ნუ ავნებ მოყვასს და დაეხმარე მას საზოგადო საქმეში, სპენსერის აზრით ზნეობის გაწრთვნა შეიძლება, ეკონომისტები ამბობენ, „ზნეობრივია მხოლოდ ის, რაც სხვას ზარალს არ აძლევს, მე-კი სარგებლობას მაძლევს, საფრანგეთის ფილოსოფოსი გუიო — ზნეობას და, საზოგადოდ, ცხოვრებას ერთსა და იმავე მოვლენად სთვლის; ცხოვრების განვითარებასთან ვითარდება ზნეობაცაო. ახლანდელი კაცობრიობა ორ ბანაკიდგან შესდგება: მდიდართაგან და ღარიბთაგან. ევროპაში ამ ორს ბანაკს შორის ბრძოლა დაწყებულია. რუსეთში ჯერ-ჯერობით ეს ბრძოლა არ არისო, განაგრძობს პროფესორი და თუ გვინდა თავიდგან ავიცილოთ, უნდა ალტრუიზმის მხარე დავიჭიროთ და აღზრდა-განათლებით ეგოიზმს ვებრძოლოთო. ევროპაში და ამერიკაში კარგა ხანია ზნეობის გაწვრთნისათვის წრეები დაარსდაო და ჩვენც ამ მაგალითს უნდა წავბაძოთო.

## უცხოეთი

—

**მადაგასკარის შესახებ.** რადგანაც მადაგასკარის კუნძულს გარშემო სამხედრო გემები აქვს შემორტყმული, ამიტომ რიგიანად ვერ იგებენ იმ ამბებს, რომელიც ამ კუნძულზედ ხდება. მაგრამ გაზეთმა „Times“-მა როგორღაც მიიღო რამდენიმე ნომერი გაზეთ „Madagascar News“-ისა, რომელიც ქ. ტანანარიზში გამოდის. ამ გაზეთით ჰხელმძღვანელობენ ინგლისელები. თურმე ინგლისელები ყოველგვარს საშუალებასა ხმარობენ წააქეზონ ადგილობრივნი მცხოვრებნი და ფრანგების წინაამდეგ ამოქმედონ. ამავე აზრით ტყუილებსაც-კი არ ერიდებიან. ამცირებენ ფრანგების ძალას და განზრახ აღიარებენ გავასების ძლიერებას, რომელთაც 10,000 ზარბაზნამდის აქვთ, ამიტომ ფრანგები ჴდამარცხებულ იქმნებიანო. ინგლისელები აგრეთვე არწმუნებენ გავასელებს, რომ მთელი განათლებული კაცობრიობა ამ ჟამად მადაგასკარზედ ჰფიქრობსო და დასამტკიცებლად ინგლისელი გაზეთების სიტყვები მოჰყავთ და ხანდისხან ყალბ წერილებს-კი სთხზავენ. განა, როგორ იქმნება ევროპამ და ამერიკამ ხმა არ ამოიღოს იმ სახელმწიფოს წინაამდეგ, რომელსაც ჰსურს გავასელების სამეფოს თავისუფლება წაართვას!!

—

**ბოლგარია.** ყოფილი ბოლგარელი ემიგრანტი რიზოვი თავისს გაზეთ „მლადო ბოლგარია“-ში სწერს, რომ „მომავალი ფორმა მმართველობისა ბოლგარიაში — რესპუბლიკა იქმნებაო და არა კონსტიტუციონალური მონარქიაო. ამიტომ მე არავითარი საქმე არა მაქვს სამეფო გვარეულობასთანაო. მთელი ბოლგარია მხოლოდ ერთს რამეს ითხოვს თავისს „აწინდელს“ მთავრისგან, და ეს სათხოვარია, რომ იგი დაემორჩილოს ბოლგარიის ერის ხმას და მისს ნებასაო.“

### უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

ტელეფონის შემოღებამ ახალი ავადმყოფობა დაბადა ტელეფონის სადგურის მოსამსახურეთა ქალთა შორის. ეს ავადმყოფობაა-ყურების ტკივილი. რადგანაც გულ-დასმით უგდებენ ხოლმე ყურს, უ-

რის ხუცა იღლება და ამას მოსდევს თავის ტკივილი, თავს-ბრუს დასხმა და მუხლების კანკალი. ექიმები ურჩევენ, რომ სამის საათის მუშაობის შემდეგ ერთი საათი უნდა დაისვენონ ხოლმე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 მარტი.

**პეტერბურგი**, 28 მარტი. ქრისტეს აღდგომის დღეს მათი უდიდებულესობანი დღესასწაულის მოსალოცავად არავის არ მიიღებენ.

პირველი მდივანი რუსეთის საელჩოისას შტუტგარდში, გრაფ ნიკოლოზ ლამზდორფი ხელმწიფემ დანიშნა იმპერატრიცის კანცელარიის გამგეს თანამდებობის აღმასრულებლად და იმპერატრიცის მდივნად. ხარკოვის გუბერნატორი გოჰმეისტერი პეტროვი დაინიშნა ვარშავის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ. ტომსკის გუბერნატორი გოჰმეისტერი ტობიზენი დაინიშნა ხარკოვის გუბერნატორად. მოგილევის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ლებედევი დაინიშნა ხარკოვის სასამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარედ. კიევის გუბერნიის საბაჟო გარდასახადის გამგებელი ბურმეისტერი დაინიშნა ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრად.

„პრავიტელსტ. ვესტნ.“ ში დაბეჭდილია, რომ იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს განხილვა სასამართლო კანონმდებლობისა, ნება დაურთავს ყველა მსურველთათვის თავისი მოსაზრება და პროექტები ამ საგნის შესახებ წარუდგინოს კომისიას.

ორშაბათს დაკრძალეს ფინანსთა მინისტრად ნამყოფი ვიშნეგრადსკი.

**ბერლინი**, 27 მარტი. „კელნის გაზეთს“ ბელგრადიდგან ატყობინებენ: სერბიის ზოგიერთს ქალაქებში ორი დღეა ბრძოლაა ჟანდარმთა და ხალხის შუა. მთავრობამ ჯარები გაგზავნა. ხალხის ამბოხების მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ არჩევნების დროს ადგილობრივ მართველობას სხვა-და-სხვა უკანონობა ჩაუდენია.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი მ. ტურბოვიჩი. ქალი ა.** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათასქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)



ცნობილ ფაბრიკების



როილები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

**კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა, ბ. მ. მირიმანიანისა,**
რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(24—1819—9)



ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში ისყიდება ამხანაგობის ახალი გამოცემანი:

## სამზარეულო

ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა

მეორე გამოცემა

ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.

**ფასი მანეთ ნახევარი.**



ამ დღეებში გამოვა გასაყიდად

თ. რაფიელ ერისთავის

## თხზულებანი

პირველი ტომი

რომელშიაც მოთავსებულია ყველა ლექსები და არაკები; წიგნი შეიცავს 400 გვ. ავტორის პორტრეტით და ფაქსიმილეთი.



## ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.



მაქვს ფარჩაზედ დახატული თამარ დედოფლის სურათი ბალიშებისათვის, თითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე ქართველების ყველა გამოჩენილის კაცის სურათი აბრეშუმის ცხვირსახოცზედ. თითო ღირს 60 კ.—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებ ლენტებზედ დახატული 25 კ.—30 კ. თუ ჰსურს გამოიწეროს ვინმემ და ან გადაიხატოს, ამ ადრესით მომმართონ.

ვანქის ქუჩა № 7, სახლი მურადოვისა, ალექსანდრა რადინოვისას.



## ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.



„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 60 |



ზეთის სახდელი და საპნის სახარში ქარხნები

## ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა

ამ მიმდინარე დიდ-მარხვისათვის შეგიძლიანთ ინებოთ საჭმელში სახმარებლად: შირბახტისა, სელისა და კანაფის ზეთი, აგრეთვე თახვის ყაირი (кастор. масло), სალამპრო და მოხარშული დასაფერად, გვაქვს აგრეთვე პირველის ღირსების საპონი: ტყვიისა, მარმარილოსი და ზეთისა. ბითუმობით ისყიდება კავკასიის საფთიაქო ნივთების სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ ჯოვანთან, სახლი დობრჟანსკისა და ვორონცოვის ძეგლთან, დარჩო ბაქაროვთან, ნიკოლოზის ქუჩა, ალექსანდრე—ნეველის ეკკლესიის პირდაპირ და ჩალმაიანცთან, სახლი № 1 პანასევიჩის ქუჩა.

წვრილ-წვრილად სყიდვა შეიძლება საკუთარს მაღაზიებში მიხეილის ქუჩაზედ, სახლი კარალოვისა, ძეგლთან, იარმუკაზედ ბუღდანოვის სახლი, თათრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა, ავლაბრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა და ოლღას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლი.

ერთიანად სყიდვა შეიძლება ქარხანაში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარი სახლი.

საკუთარს მაღაზიებში და ქარხანაში ისყიდება აგრეთვე საქონლის აკვები ჩენჩო.

(10—982—5).



საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება ვალერიან გუნიას მიერ შედგენილი და გამოცემული

## საქართველოს კალენდარი 1895 წ.

წიგნი შეიცავს 600 მდე გვერდს და დასურათებულია 65 ნახატებით, ფასი 50 კაპ.

**უბის წიგნი 1895 წ.**

მშვენიერს ყდაში და ყარანდაშით, ფასი 30 კაპ.

**საოჯახო კედლის კალენდარი 1895 წ.**

დასურათებული და ფერად წამლით დასტამბული, ფასი 10 კაპ.

**სახალხო კალენდარი 1895 წ.**

დასურათებული და მრავალ საჭირო ცნობებით შევსებული, ფასი 5 კაპ.

**ქართული მიწერ-მოწერის პრებული**

სახალხო გამოცემა, ფასი 15 კაპ.



## „ივერია“

1895 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50„ | 5 „ . . . | 5 „ 50„ |
| 10 „ . . . | 8 „ 75„ | . . . | 4 „ 75„ |
| 9 „ . . . | 8 „ —„ | 3 „ . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . | 7 „ 25„ | 2 „ . . . | 2 „ 75„ |
| 7 „ . . . | 6 „ 50„ | 1 „ . . . | 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.


Дозвено цензурою, Тифлисъ 28-го Марта 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე